ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1920 — 1978

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲙᲕᲘᲠᲐ 6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1978 წ. № 184 (17228) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲕᲘᲪᲘᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲛᲘᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲣᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲐᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ-ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ რაიონის მშრომელთა პირობა იყო სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება 7 აგვისტოსათვის შეესრულებინათ. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, შრომის სწორად მოწყობის შედეგად 4 აგვისტოსათვის გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 8 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 9.180 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვლეული.

პურეულის მკა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მემარნიშვილმა.

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ



Ო. ᲞᲘᲠᲘᲔᲕᲛᲐ მარნეულის რაიონის გამარჯვების საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 27 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Ა. ᲯᲐᲒᲐᲓᲝᲕᲐ ყულარის ცხენსაშენ საბჭოთა მეურნეობაში (მარნეულის რაიონი) 8 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და თითოეულ ჰექტარზე 26,2 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Ა. ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ თეთრი წყაროს რაიონის თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 9 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

Ე. ᲡᲝᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ასპის რაიონის კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობაში 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲓᲠᲝᲨᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ კავშირის მშენებლობის სამინისტროს კოლეგიისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საქართველოს მშენებლობის სამინისტროს რუსთავის № 1 ტრესტის მშრომელები წლევანდელი მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად არის მიჩნეული და მიენიჭათ გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ტრესტის კოლექტივმა გადაწყვიტა წლევანდელი პროგრამა 20 დეკემბრისათვის შეასრულოს. (საქინფორმი).

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲓᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, („კომუნისტის“ კორრ.). დამკვრელური წლის გაწელილ პერიოდში თანაბარზომიერად და ნაყოფიერად იშრომა დედაქალაქის საწარმოო გაერთიანება „საქდენმანქანამშენის“ კოლექტივმა. გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მან წარმატებით გაანალდა.

პროდუქციის რეალიზაციის დავალების მაქანათმშენებლებმა 1,5 პროცენტით გადააჭარბეს. იანვარ-იულისში გეგმით გათვალისწინებული 5 მილიონ 374 ათასი მანეთის ნაცვლად მომხმარებლებმა მიიღეს 5 მილიონ 455 ათასი მანეთის პროდუქცია. ასევე მნიშვნელოვნად, 94 ათასი მანეთით გადააჭარბეს მთლიანი პროდუქციის დავალებასაც.

შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მუშები, ხარატები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჯობაძე, რ. დვალიძე, ჩამომსხმელი მ. ბაღათურია და ამწყობ-ზეინკალთა ის ბრიგადა, რომელსაც ვ. ზუკაკოვი ხელმძღვანელობს.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲖᲔᲘᲛᲘ

6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲔᲐ

ᲔᲛᲘᲠᲐᲯᲐᲯᲘᲡᲘᲡ თბილისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა წლევანდელი ნახევარი წლის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა, 580 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანა და ნორმის გადამეტებით 98.000 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდა. დაზოგა მილიონ კილოვატსაათი ელექტროენერგია და 200 ტონა საწვავი. ამ საერთო საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ მემანქანეებმა, რომლებსაც სურათზე ხედავთ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲖᲝᲒᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. (მარცხნიდან) ნ. ᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲙᲐᲨᲘᲐ, ო. ᲮᲣᲚᲐᲕᲐ და ო. ᲛᲐᲖᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

გ. ᲒᲝᲒᲝᲩᲘᲐᲡ ფოტო.

ᲨᲔᲯᲐᲛᲝᲠᲩᲔᲚᲘᲚᲔᲑᲝᲓ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორრ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოებში სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. პირველობისათვის იბრძვის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივი. საწარმო წლის დამდეგიდან უჩამორჩენლებოდ მუშაობს. საინსტრუქტორო განვლილი შვიდი თვის შედეგები. სახელოსნომ 70 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია დაამზადა, ვიდრე ამას სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა. ნაკეთობათა რეალიზაციის დავალება გადაჭარბებით — 113,4 პროცენტით შესრულდა. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება აქ 19 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 18 ათას მანეთს გადააჭარბა.

წლეულს ბევრი რამ გაკეთდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და ნაკეთობათა ასორტიმენტის გასაახლებლად.

დამკვრელური შრომა დვეზით — არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით — აგვისტოშიც გრძელდება. განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ ხარატები ბ. პატარიძე, შ. წერეთელი, ზეინკლები ნ. ხოლოშენკო, ჯ. ტატუტიძე, ელექტროზეინკალი გ. ბოჭორიშვილი და სხვები. ისინი ცვლის ნორმას 150-160 პროცენტით ასრულებენ და დიდ ყურადღებას უთმობენ ნაკეთობის ხარისხს.

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲡ

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ რაიონის მშრომელებმა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, წარმატებით შეასრულეს საადრეო კარტოფილის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებები. 4 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მიეყიდა 45.250 ტონა კარტოფილი, რაც შარშანდელთან შედარებით 1.050 ტონით მეტია. საკავშირო ფონდში გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი ტონის ნაცვლად გაგზავნილია 27.469 ტონა კარტოფილი.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს სარაჭლოს, არახლოს, ფახრალოს საბჭოთა მეურნეობებისა და ქოჩიღლოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობის შრომითმა კოლექტივმა, კარტოფილის დამზადება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ᲝᲚᲝᲜᲪᲐᲫᲔ, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ᲐᲚᲘᲔᲕᲐ.

ᲛᲔᲐᲒᲠᲔᲣᲨᲣᲛᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚᲘᲡ მეაბრეშუმეებმა, რომლებიც რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთან ერთად განსაკუთრებული მონდომებითა და ენთუზიაზმით შრომობენ, მეათე ხუთწლედის მიმდინარე, დამკვრელური წელს, 4 აგვისტოსთვის შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა-ვალდებულებები. გეგმით გათვალისწინებული 220 ცენტნერის ნაცვლად დამზადებულია 221,6 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების შრომითმა კოლექტივებმა, ჩოხატაურელმა ახალგაზრდებმა.

ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔᲛ და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ხ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲛ.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲛᲔᲪᲘᲡᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ მეტი ყუთიანი საკვების — სენაჟის დამზადებისათვის ბეჯითად მუშაობენ ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების მშრომელები. გეგმა-ვალდებულებით წელს ჩხოროწყუელებმა უნდა დაამზადონ 5 ათასი ტონა სენაჟი. ეს დავალება ვადამდე გაანალდეს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით უკვე დამზადებულია 5.455 ტონა სენაჟი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

რსფსრ: ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲛᲠᲠᲩᲘᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

ᲣᲪᲢ-ᲘᲚᲘᲛᲘᲡ ჰიდრომშენებლები [illegible] გადასცეს იმათ, ვინც ბოგუჩანის ჰიდროელექტროსადგური უნდა აგოთ. ანგარის კასკადის მეოთხე ჰიდროსადგურის მშენებლებს მუშური სიძლიერის სიმბოლოს სახით გადაეცათ წითელი დროშა, რომელიც უსტ-ილიმელებმა ათი წლის წინათ მიიღეს ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთაგან.

ამჟამად ანგარის მარცხენა სანაპიროზე მომავალი ჰიდროსადგურის კვეთთან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. ამენდა მშენებელთა დასახლება, ტაიგაში საფუძველი ჩაეყარა ახალ ქალაქს. მშენებლობის ადგილზე ბრატსკიდან გაჰყავთ 220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.

ᲚᲘᲢᲕᲐ: ᲠᲐᲣᲞᲘᲡᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

ფართო პროფილის მექანიზატორების დიპლომებით დაბრუნდნენ რაციონისის რაიონში მდებარე მშობლიურ საბჭოთა მეურნეობა „ონიმკისში“ კომკავშირელი ი. რაუპისი და მისი ექვსი თანასოფლელი. სახეიმო კრებაზე მათ მზვნილ-მოესველთა ფიცი დადეს უერთგულონ მამა-პაპათა მიწას, აბრავონ მისი დოვლათი. ფიცი მიიღო ონიაის მამამ — მეურნეობის საუკეთესო ტრაქტორისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა პ. რაუპისმა.

იგი ახალგაზრდობის ერთ-ერთი ავტორიტეტიანი დამრიგებელია. სულ ახლახან დაიწყო საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ნახევრის — დაახლოებით 50 კაცის შრომითი ბიოგრაფია. კომუნისტმა პ. რაუპისმა „ცხოვრების საგზური“ მისცა ოც ახალგაზრდა მექანიზატორს. საბჭოთა მეურნეობა „ონიმკისში“ ახალგაზრდობასთან მუშაობის მის ძვირფას გამოცდილებას რესპუბლიკის მეურნეობებში ფართოდ გავრცელების რეკომენდაცია მისცეს.

ᲧᲐᲖᲑᲔᲗᲘ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲙᲕᲐᲚᲐᲕᲗᲐ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

ᲑᲐᲘᲙᲐᲚ-ᲐᲛᲣᲠᲘᲡ მაგისტრალის აგიტრეისში გაემგზავრა ყაზახეთის პიონერთა და მოსწავლეთა ოპერაციის „თურქსიბ-ბაიმ: ხუთწლედების გადაძახილის“ ორმოცდაათი ყველაზე აქტიური მონაწილე.

ორი წლის წინათ რესპუბლიკის პიონერები შეუდგნენ მასალების ძიებას თურქესტან-ციმბირის მაგისტრალის შესახებ. ბავშვებმა აღმოაჩინეს თურქესტან-ციმბირის მაგისტრალის გაყვანასთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო დოკუმენტი, მოძებნეს მშენებლობის ვეტერანები — პირველი ხუთწლედების გმირები.

და აი, ახლა ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე შეხვდებიან მის პირველ მშენებლებს, შეაგროვებენ მასალებს იქ მომუშავე თანამშრომლებზე — ყაზახეთის წარგზავნილებზე, კონცერტებს გამართავენ ბამელებისათვის.

ამ მასალებს ისინი გადასცემენ თურქესტან-ციმბირის ისტორიის მუზეუმს, რომელიც ალმა-ათაში იქმნება.

მულდავეთი: სამკურნალო პლანტაციებში

სამკურნალო ნედლეულის დიდი მიმწოდებლის — მოლდავეთის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების“ პლანტაციებში დაიწყო სამკურნალო ბალახების კრეფა. აქ თიბავენ გვირილას, ყვავილების მკრეფავები კალენდულის ნარინჯისფერ პლანტაციებშიც გავიდნენ.

მეურნეობის „საფუთიაქო“ ყანას ორი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. აქ მოვიდა სალბის, ძირთეთრასა და სხვა სამკურნალო მცენარეების უხვი მოსავალი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Მ. Ი. ᲖᲚᲐᲢᲙᲘᲜᲘᲡ „ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲑᲭᲔᲓᲕᲘᲗᲘᲡ ᲮᲘᲢᲧᲕᲐᲮᲐ და ლიტერატურაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცდა წლისთან დაკავშირებით ამხ. მარკ ისრაელის ძე ᲖᲚᲐᲢᲙᲘᲜᲘ დაჯილდოვდეს „ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 4 აგვისტო.

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. პარტიის ამ კურსს მხარეულად დაუჭერეს მხარი პარტიულმა ორგანიზაციებმა, მან ახალი იმპულსი მისცა შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს ინიციატივას. იმაზე, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად შრომითი კოლექტივების ინიციატივა და რა როლს ასრულებენ ამ საქმეში პარტიული ორგანიზაციები, გვიჩვენებრება სკკპ ვოლოგდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ᲓᲠᲘᲒᲘᲜᲘᲜ წერილში „ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (პარტიული ცხოვრება: წინა ხაზზე).

ვაჭრობის, სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგზეა საუბარი ე. ᲛᲐᲜᲘᲪᲘᲡ სტატიაში „ᲔᲠᲗᲘᲗᲔᲚ ᲠᲝᲛᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲕ“.

„პრავდის“ რედაქციაში შესულ ერთ-ერთ სიგნალში მოყვანილი ფაქტების შესწავლა საფუძველზეა დაწერილი სპეციალურ-სპონდენტის დ. ᲜᲝᲕᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ წერილი „ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ“, სადაც კადრებთან მუშაობის აქტუალურ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება.

გაზეთის მესამე გვერდზე მკითხველი გაეცნობა პოეტ გენადი ლისენკოს ახალ ლექსებს.

განყოფილებაში — „საერთაშორისო ინფორმაცია“ დაბეჭდილია ცნობები პოლიტიკური მიმოხილველის **იური ᲧᲣᲙᲝᲕᲘᲡ** შენიშვნები „ᲨᲘᲨᲘᲡ ᲖᲣᲠᲩᲚᲘ“, ჩიხოსლოვაკიელი პუბლიცისტის **არნოშტ ᲑᲐᲘᲘᲡ** სტატია „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲘ ᲞᲘᲡᲢᲝᲚᲘ“, ავრეთვე „პრავდისა“ და საკდესის კორესპონდენტების მასალები.

1943 წლის 5 აგვისტოს, ორენის ბრძოლების დაწყებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ორიოლი და ბელგოროდი, და მოსკოვში დიდი სამამულო ომის ისტორიაში პირველად საბჭოთა ჯარების გამარჯვების ალსანიშნავად მიეცა სალუტი. ეს იყო მტრის ურდოებზე ძლიერამოსილი შეტევის მაუწყებელი პირველი სალუტი და იგი ძვირფასია თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის. 35 წლის შემდეგ იმ ადგილებში, სადაც ეს ბრძოლები გაიმართა, ჩავიდა „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი ი. ᲛᲐᲯᲐᲠᲝᲕᲘᲩᲘ. ის შესახებია იგი ესაუბრება მკითხველებს წერილში „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲣᲢᲘ“.

გაზეთი ბეჭდავს ადრეული წერილებს და კორესპონდენციებს რუბრიკებით: „ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, „ᲠᲘᲠᲚᲘᲙᲘ“, „ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ“, „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“ და ა. შ.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲨᲘ



ᲚᲐᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ სსრ ხარკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის საავიაციო ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის სამი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ეს ქარხანა სამართლიანად ითვლება ახალგაზრდულ საწარმოდ — ყოველი მესამე მუშა აქ ოცდაათ წელზე მეტი ხნის არ არის. 500 ახალგაზრდა ავიაქარხნელი მალე შეასრულებს სამი წლის პირად დავალებებს. სურათზე: ტუ-134-ი ლაინერის დაბადება.

მ. ᲢᲣᲠᲘᲡ ფოტო (საკდესის ფოტოკორრესპ.).

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲞᲔᲢᲠᲝᲖᲐᲕᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐᲖᲔ

ᲞᲔᲢᲠᲝᲖᲐᲕᲝᲓᲡᲙᲘ, 5 აგვისტო. (საკდესის კორრ.). დღეს აქ გაიმართა სკკპ საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა პეტროზავოდსკისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემას.

სხდომის მონაწილეებმა აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. იგი სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში მსურვალედ მიესალმა პეტროზავოდსკელებს, კარელიის ყველა მშრომელს და ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

პეტროზავოდსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება, თქვა მან, — ეს არის ჩვენი სამშობლოს ისტორიაში მისი დიდმნიშვნელოვანი როლისა და ადგილის, რევოლუციური ღვაწლისა და მხედრული მამაცობის აღიარება, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის დაფასება.

„ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — იშვა და განმტკიცდა მშრომელ ადამიანთა დიადი ძმობა, რომლებსაც, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ადუღაბებთ კლასობრივი ინტერესებისა და მიზნების ერთიანობა, შეიქმნა ისტორიაში უმაგალითო ურთიერთობა, რომელსაც ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ ხალხთა ლენინურ მეგობრობას. ეს მეგობრობა, ამხანაგებო, — ამბობდა იგი, — ჩვენი ფასდაუდებელი საუნჯე, თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი მონაპოვარია. და ამ მეგობრობას ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ყოველთვის თვალისჩინივით გავუფრთხილდებით!“.

მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე მიმდინარეობს ერების შემდგომი აკვავება და დაახლოება, ყველა საბჭოელი ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება. პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ეროვნული ურთიერთობის დარგში, განამტკიცებს ხალხთა მეგობრობას, რომელიც სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

ამხ. ი. ვ. ანდროპოვი შეეხო პეტროზავოდსკელთა და კარელიის მშრომელთა წარმატებებს ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში.

შრომის წითელი დროშის ორდენი, თქვა მან, პეტროზავოდსკს გადაეცემა იმ დროს, რაც ჩვენმა ქვეყანამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეათე ხუთწლედის ეკავტორი გადალახა. განვლილ ორ წელიწად-ნახევრის მთავარი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ წარმატებით ხორციელდება ამოცანები, რომლებიც პარტიის XXV ყრილობამ დასახა.

შეეხო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე დასახულ ამოცანებს, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას, ისევე როგორც მოლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებას, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ის, თუ როგორ მუშაობს დღეს, როგორ იმუშავებს ხვალ ქალაქისა და სოფლის თითოეული მშრომელი, ყოველი შრომითი კოლექტივი.

შემდეგ ამხ. ი. ვ. ანდროპოვი შეეხო საერთაშორისო საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ყურადღებით ადევნებენ თვალს მოვლენათა განვითარებას, დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა მანევრებს. ჩვენ ვითვალისწინებთ ვაშინგტონის პოლიტიკის მარყუმბას. ამასთანავე ჩვენი სტრატეგიული ხაზი უცვლელია. ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა კავშირს, თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, თავის უმნიშვნელოვანეს მიზნად საერთაშორისო საქმეებში ის მიაჩნია, რომ „თავიდან აიცილოს კაცობრობას ომის დაწყება, დაიცვას და დამკვიდროს მშვიდობა — საყოველთაო, სამართლიანი, ხანგრძლივი მშვიდობა. ასეთია ჩვენი ურყევი კურსი“.

დასასრულ ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ პეტროზავოდსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში მაღალი ჯილდო ქალაქის დროშას მიაბნა.

შემდეგ სხდომაზე გამოვიდნენ სკკპ პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. პრკუშევი და საზოგადოებრივობის წარმომადგენლები. მათ აღუთქვეს, რომ ქალაქისა და ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მოსასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

საბჭოებს — პარტიული ზრუნვა

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები... ძველია გადაჭარბებით შეფასა მათი — საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველის, მასების უნარიანი ორგანიზატორების როლი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის იმ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მეათე ხუთწლეულში არის დასახული. კიდევ უფრო გაიზარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აუტორიტეტი, უფლებები, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზა ამ ბოლო წლებში, როცა მიღებულ იქნა კანონები ადგილობრივი საბჭოებისა და დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემულ მითითებებს, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა, უფრო თამამად, კონკრეტულად, ღრმად სწვდებიან ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს, შრომითის საქმიანობას, მეცხრამ, სამწუხაროდ, არის ჯალეული უარყოფითი ფაქტებიც. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აპრილწინანდელ სესიაზე საკისები სამართლიანად გააკრიტიკეს წულუკიძისა და თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა, რომლებიც კომპეტენტურად არ მართავენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში.

საბედნიეროდ ასეთი ფაქტები გამონაკლისია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი გამოშვების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის საბჭოების მუშაობისადმი სუსტი პარტიული ხელმძღვანელობა, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და რაიონებში. სადაც პარტიული კომიტეტები სისტემატურად ზრუნავენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის, არ აკლებენ მათ პარტიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, შედეგებიც საუკეთესოა. ამ მხრივ აოსანიშნავია პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, წყალტუბოს, ტყიბულის საქალაქო, თელავის, ზესტაფონის, მახარაძის, გურჯაანის, ქალაქ თბილისის ოქტომბრის და ზოგიერთი სხვა რაიონული კომიტეტის მუშაობა, რომლებიც სისტემატურად ზრუნავენ საბჭოებისათვის და იხმარებიან მათ.

მაგალითად, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, რომელმაც რესპუბლიკაში პირველმა შექმნა და თავის პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიურად იყენებს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტს, საინფორმაციო ცენტრს, დაეხმარა საქალაქო საბჭოს აღმასკომს თანამედროვე საორგანიზაციო ტექნიკით აღჭურვილი საინფორმაციო ცენტრის შექმნაში. ამ სიახლემ მნიშვნელოვანწილად განამტკიცა აღმასკომის, მისი სამმართველოების, განყოფილებების კავშირი მასებთან. უფრო დაინტერესა ისინი ქალაქის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებით საკითხების გადაწყვეტით... შეიტანეს კარგი. საქალაქო საბჭოსადმი პარტიის ქალაქკომის მუდმივი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგია ისიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საქალაქო საბჭოს სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში უკანასკნელ ხანს დაენერგინ სიახლეთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მშრომელთა წერილების ტელეფონით მიღებისა და მათზე რეაგირების პრაქტიკა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოების სესიებს, აქ განსახილველი საკითხების კარგად მომზადებას. შარშან რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე 13.900-ზე მეტი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში მონაწილეობდა დეპუტატთა 61 პროცენტი. ერთი შეხედვით ეს თითქოს ცუდი მაჩვენებელი არ უნდა იყოს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, საჩხერეში სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობდა დეპუტატთა 58,1 პროცენტი, ბოლნისში — 48,6 გარდაბანში — 48,4 პროცენტი და ა. შ., შედეგი დამაკმაყოფილებელი არ არის.

მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ატარებენ სესიებს ობილისის, წყალტუბოს, ფოთის, გორის, ტყიბულის, საქალაქო, კასპის, ცხინვალის, თელავის, მცხეთის, ზუგდიდის რაიონული, წყალტუბის რაიონის ლესიჭინის, ქარელის რაიონის უბისის, ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის, თერჯოლის რაიონის ზედა საბანოს სასოფლო, ბასასუფნის, ბაკურიანის, მაიაკოვსკის სადაბო საბჭოები.

პარტიული კომიტეტების დახმარებითა და ხელმძღვანელობით პრაქტიკაში ფართოდ ინერგება ბევრი კარგი სიახლე, მაგალითად, სესიებზე აღმასრულებელი კომიტეტის ინფორმაციებიან მოსწენა. წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის, აგრეთვე სესიებს შორის მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. დადებითს შედეგებს იძლევა აგრეთვე სესიებზე დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენების პრაქტიკა. შარშან ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატებმა 650-ზე მეტი აქტუალური, საკრებოროტო საკითხი აღიარეს.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი სისტემატურ, ნამდვილ პარტიულ ხელმძღვანელობას არ უწევს საბჭოებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის ნაცვლად ზოგიერთ რაიონში ხდება ხოლმე უსაფუძვლო კონკლობა. ეს კი რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლების საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს.

ოდავოდ სუსტი პარტიული ხელმძღვანელობის ბრალია, რომ ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭო, რომ არაფერი ვთქვათ სასოფლო და საფლაბო საბჭოებზე, ღრმად ვერ სწვდება მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებს და, რაც მთავარია, ზოგჯერ ავიწყდება კიდეც თავისი ძირითადი და უპირველესი მოვალეობა — ხალხთან, მასებთან უშუალო ურთიერთობა, მათთან კავშირის განმტკიცება. სწორედ ამის გამო ზოგან როგორც ხელმძღვანელი მუშაები, ისე დეპუტატებიც პასიურობენ, უგულებელყოფენ ყოველივე ახალს, პროგრესულს, თვითდინებით. უპასუხისმგებლოდ მუშაობენ. განა სწორედ ამის შედეგი არ არის, რომ შარშან სესიას ანგარიში არ ჩაბარა ყაზბეგის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (უფროსი თავმჯდომარე — ა. დავითაშვილი)? ან ის, რომ ბოლნისის რაიონული საბჭოს XIII სესიაზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა დეპუტატმა ათი გამომსვლელიდან, ხოლო წელის რაიონული საბჭოს მესამე სესიაზე — სამმა დეპუტატმა ცამეტი გამომსვლელიდან? ეს, მეტი რომ არა ვთქვათ. სესიების, სახალხო დეპუტატების როლის შეუფასებლობაა.

როდესაც მოსახლეობასთან, ამომრჩევლებთან საბჭოებისა და სახალხო დეპუტატების კავშირის განმტკიცების საკითხს ეხებით, უფრანარეს ყოველისა, ვგულისხმობთ ამომრჩეველთა ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა საბჭო, დეპუტატი დროის განვლილ მონაკვეთში. მაგრამ ამა რომელი უფროფერთობაზე, კავშირზე, ინფორმირებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, მაგალითად, ბოლნისის რაიონში გასული წლის ივნის-დეკემბერში ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 47 დეპუტატს, ონის რაიონში — 43, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 156, საჩხერის რაიონში — 20, ახმეტის რაიონში — 20 დეპუტატს... დუშეთის, ციგვრის, ამბროლაურის, ყაზბეგის, თეთრიწყაროს, მესტიის, გორდაბნის რაიონების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი სესიების შემდეგ არ ხვდება თავის ამომრჩევლებს, არ აცნობს მიღებულ გადაწყვეტილებებს, არ რაზმავს მათ ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

დაბალია სესიების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური დონე თეთრიწყაროს რაიონის ერკეის, ბოლნისის რაიონის დარბაზის, თერჯოლის რაიონის ნახშირიღელეს, დმანისის რაიონის საკირეს. ორჯონიკიძის რაიონის ზგარეს, ამბროლაურის რაიონის ხოტევის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო საბჭოებში.

ასეთი ვითარება შეეუწყნარებელია, ამიტომ პარტიულმა კომიტეტებმა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

როგორც ცნობილია, საბჭოების მუშაობაში დიდი როლი ენიჭება ამომრჩეველთა განაწესებს. შარშან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა სესიებზე დაამტკიცეს ამომრჩეველთა 21.240 განაწესი, რომელთაგან მიმდინარე წლის პირველი თვისათვის შესრულებული იყო 40,1 პროცენტი. ეს, რა თქმა უნდა, ურიგო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ უდავოდ ცუდია ის, რომ 154 სასოფლო და 7 სადაბო საბჭოს არც კი დოკუმენტაციებიათ განაწესების შესრულების ლონისძიებები. ასე მოხდა, მაგალითად, ონის, გორდაბნის, სიღნაღის, მარნეულის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

სერიოზული ნაკლოვანებებია საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში. მაგალითად, საგრძნობლად შეასუსტა მუშაობა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის, ბოგდანოვკის, ცაგერის, თელავის, გორდაბნის, ხაშურის, ლაგოდეხის რაიონული და საქალაქო საბჭოების ზოგიერთმა მუდმივმა კომისიამ. უკანასკნელ ხანს საგრძნობლად შემცირდა საბჭოებში საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე აქტივისტთა რიცხვი, ხოლო ზოგიერთ რაიონში საერთოდ არა ჰყავთ შტატგარეშე მუშაკები...

საბჭოების მუშაობის ცალკეული ნაკლოვანებები და ხარვეზები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ზოგიერთი მაგალი ჯერ კიდევ არ არის სრულად დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური კადრებით, რომ პარტიულმა კომიტეტებმა ამ მხრივ ბევრი რამ უნდა გააკეთონ და აკეთებენ კიდეც.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა პარტიული კომიტეტი სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდება საბჭოთა კადრების შერჩევას და განაწესებას. სწორედ ამის გამო უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში უკვე შეიცვალა ოთხმოცი მეტი ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე, მათი მოადგილე და მდივანი და, რაც უფრო დამაფიქრებელია, მათ ნაცვლად არჩეულთა შორის ოცზე მეტი ამხანაგი არ არის შესაბამისი საბჭოს დეპუტატი.

საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ინტერესები სერიოზული პრაქტიკული ღონისძიებების დასახვას და განხორციელებას მოითხოვს. ამასთანავე საჭიროა, რომ ეს ხელმძღვანელობა იყოს არა ერთფეროული, კამპანიური, არამედ სისტემატური, ყოველდღიური. არა დეკლარაციული, მოწოდებითი, არამედ კომპეტენტური, შინაარსიანი, ქმედითი. საჭიროა გამოვაცოცხლოთ საბჭოებთან შექმნილი პარტიული ჯგუფების მუშაობა. ეფექტიანობა ამაღლოთ ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გავაძლიეროთ კომუნისტი დეპუტატების როლი და პასუხისმგებლობა საბჭოთა ხალხის მოწამისათვის.

უკანასკნელი წლების ოქმნიშნულოვანესი პარტიული გადაწყვეტილებანი, — თქვა 1978 წლის 16 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ქეიფის ახალი ეონსტიტუცია ოდიდეს ახალ პესაძლებლობებს უსახავს საბჭოებს. საბჭოების მუშაობა პრაქტიკულად ეხება ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს—ეკონომიკისა და კულტურას, ყოფა-ცხოვრებასა და ვაჭრობას, სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას. საზოგადოებრივ წესრიგსა და, რა თქმა უნდა, შრომითს საქმიანობას.

დიახ, მართლაც რომ ძალიან დიდია საბჭოების როლი და მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში. ამიტომაც პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი ოპერეული მოვალეობაა სისტემატური ყურადღება, მზრუნველობა და პარტიული ხელმძღვანელობა არ მოაკლონ საბჭოებს, დიახ მართონ მათ პასუხსაგები მისიის წარმატებით შესრულებაში.

3. ზურაბიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი.

6 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღეა

წარმატებით იბრძვიან რა სკკპ XXV ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის, ამიერკავკასიის რკინიგზელები, როგორც ყოველთვის, მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელურ წელსაც გარკვეულ შედეგებს აღწევენ. ღღეს ისინი მაღალი შრომითი მიღწევებით ხელდამწყებულნი, ახალი შემოქმედებითი ალმავლობით ეგებებიან ფოლადის მაგისტრალების მშრომელთა ტრადიციული დღესასწაულს — რკინიგზელის საკავშირო დღეს.

წლევანდელი დამკვრელური წლის განვლილი ეტაპი ამიერკავკასიის რკინიგზელთა მრავალთასიანი კოლექტივისათვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, მის თითოეულ წევრს კარგად აქვს შეგნებული პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების უდიდესი მნიშვნელობა და მოვალეობის, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღესილნი იღვწიან მოპოვებული შედეგების განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის. **რაკი სიტყვა მოპოვებულ წარმატებებს შეეხო, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აქ ზემდგომი ორგანოების მიერ გზის მუშაკთა შრომის ის დიდი დაფასება, რომელიც მათ მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებისათვის დაიმსახურეს და რისთვისაც ორჯერ ზედიზედ ხაბეთია კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიიღეს.**

ხუთწლედის წინა წლებში მიღწეული, დამკვრელური წლისათვის მიტ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. ამიტომ მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე გზის მუშაკთა თავდადებული და გულმოდგინე მუშაობით უკვე თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული.

მეათე ხუთწლედის განვლილ ორწლეულნაზეაარში ეიცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით გეგმის გადატმებით დატვირთული და გადაზიდულია 5510 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამავე ეტაპზე შრომის ნაყოფიერების ზრდამ კი 18 პროცენტს მიაღწია.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან რკინიგზელები მიმდინარე ეტაპზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII ყრილობა გრანდიოზული ამოცანები დასახეს ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის სოციალიზმის მეურნეობის შემდგომი ალმავლობის მიზნით. ეს ამოცანები ეხებიან ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროს, ეროვნული შემოსავლის ზრდა, ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლება, ეკონომიკური ეფექტიანობა, ინტენსიფიკაცია, ეფექტიანი ტექნოლოგიების, ავტომატიზაციის, ელექტრიფიკაციის, ქიმიზაციის, ინტენსიური

„კომუნისტი“ ‒ ‒ ‒

ფოტოგაზეთი

ფოტოაპარატით

ობიექტივშია მთათუშეთი

ლრეშბლებში აფეთლლებულა...

გამარჯობა, მთათუშეთო!

ალვანიზონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე, მწვერვალებზე, ხეობებსა და უფსკრულებს შორის, რომელთა ძირში მყინვარებში შობილი მდინარეები ბობოკრობენ, მდებარეობს მთათუშეთი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მიუვალი კუთხე.

მთათუშეთის ცენტრია სოფელი ომალო. აქედან თვალწინ იშლება მთიანი მხარის თვალწარმტაცი პანორამა. ულრანი წიწვოვანი ტყეები, რომლებსაც ფერდობები დაუფარავთ, სუბალპურ და ალპურ მდელოებში გადადის, შემდეგ კი იწყება მარადიული ყინულის საუფლო. ვინც ერთხელ მაინც ნახავს აქაურობას, ვერასოდეს ვეღარ დავიწყებს.

მთათუშეთის სოფლებში ახლაც აღმართულა მაღალი ციხე-კოშკები — თავისუფლებისმოყვარე თუშთა გმირული წარსულის მოწმე. ეს პალეოზოური პერიოდის ფიქალით ნაშენი ნაგებობანი არწყვეტ ბუდეებივით მოჩანს მთის ციცაბოებზე.

მთათუშეთში ოთხ თვეს გრძელდება ზაფხული. და მაშინ ალაზნის ველიდან ამ მსუყე ხაძოვრებზე მოერეკებიან გურჯაანის, ახმეტისა და თელავის რაიონების ცხვრის ფარები.

სურათებზე: ახე გამოიყურება ომალოს სახოფლო საბჭოს სოფელი დართლო; ბებია და შვილიშვილი; მთიანი მხარის შვილები; თელავიდან და ახმეტიდან ომალოში ყოველდღე მოფრინავენ ვერტმფრინავები. მათ მოჰყავთ მგზავრები და მოაქვთ ფოსტა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ზღვის მოთმთვინიერებლები

კურორტ ქობულეთში გაჩნდა ახალი პლაჟი. იგი გაშენდა ბეტონის მასიურ კოდებზე, რომლებიც 60 მეტრზეა შეჭრილი ზღვაში. ხელოვნური პლაჟის ნაპირი თითქმის ერთ კილომეტრზე გადაიჭიმა.

ქობულეთელებს ახსოვთ ის დრო, როცა აჭარის კურორტების განთქმული პლაჟები ორჯერ, ზოგან კი სამჯერ უფრო ფართო იყო, მაგრამ ზღვა სულ უფრო და უფრო უტევს ნაპირებს, ამიტომაც დაიწყო მისი მოთვინიერება.

შავი ზღვის აჭარის სანაპიროს გასწვრივ გაიშალა დიდი ნაპირსამაგრებელი სამუშაოები. ამ სამუშაოებს ახორციელებს „ნოვოროსიისკზღვაშენის“ № 20 ტრესტის სამშენებლო რაზმი. დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი აშენდა მახინჯაურისა და მწვანე კონცხის კურორტებზე.

მაგალითად, მახინჯაურის პლაჟზე აიგო ოთხი წყალქვეშა ზვირთსაჭრელი, რომელთა საერთო სიგრძე ერთი კილომეტრია. ორი ზვირთსაჭრელი — მწვანე კონცხის პლაჟზე.

უკანასკნელ ათწლეულში, — გვითხრა მცურავი „მშენრაზმის“ სადგურის ზემდებმა ჯუმალ კუბლაშვილმა, — ამ ადგილებში ზღვა 200-300 მეტრით დაუახლოვდა რკინიგზის ვაკისს. ახლა იგი შეჩერებულია. ეს გააკეთეს გიორგი ართილაყვას, სტეფანე მაცაკას მებეტონეთა კომპლექსურმა ბრიგადებმა, მცურავი ამწის ეკიპაჟმა კაპიტან ბორის რუსეიშვილის ხელმძღვანელობით, მექანიკოსტორე მიხეილ ასანაძემ, ჩვენმა მყვინთავებმა, რომლებიც ყველაზე პასუხსაგებ სამუშაოებს ასრულებენ ზღვის ფსკერზე ბეტონის ბლოკების დაწყობის დროს, წყალქვეშა სამუშაოთა ოსტატმა ევგენი სუროვცევმა.

— აჭარის საკურორტო ზონის სანაპიროს გამაგრების სამუშაოთა ფრონტი, — თქვა მცურავი „მშენრაზმის“ უფროსმა ოთარ ნოდიამ,— სულ უფრო ფართოვდება. მარტო წელს ახალ ზვირთსაჭრელებს დაუწყეს 3,500 კუბურ მეტრ ბეტონის მასიებზე. ზვირთსაჭრელებს ავსებენ ღორღით, ქმნიან დამატებით პლაჟებს.

ს. ბელსკი.

(საინფორმის კორ.).

მიემგზავრეგიან მეოთხედ

მეოთხედ მიემგზავრება გასტროლებზე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

33 წლის წინათ ხალხური ქორეოგრაფიის ენთუზიასტთაგან შექმნილ ანსამბლს დღეს პლანეტის ყველა კონტინენტზე იცნობენ. იგი წარმატებით გამოსულა მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში და საზღვარგარეთ აღიარება მოიპოვა როგორც მრავალფეროვნული საბჭოთა კულტურის ერთ-ერთმა აქტიურმა პროპაგანდისტმა.

ანსამბლის რეპერტუარის საფუძველია ეროვნული ცეკვები, მათ შორის — თანამედროვეცეკვამს წინათ რეპერტუარში განხდა ერთაქტიანი სიუჟეტი „გმირჯვების ცეკვა“, რომელიც ქორეოგრაფიის ენით ასახავს საბჭოთა ქალშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. (საინფორმი).

გასტროლები ვილნიუსში

ვილნიუსში დაიწყო თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის გასტროლები, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობს ლიტვის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრსა და პროფკავშირების კულტურის სასახლეში.

თბილისელი ცეკვის ოსტატები ვილნიუსელებს უჩვენებენ თავიანთ საუკეთესო დადგმებს. მათ შორის არის ა. არბუზოვის „მკაცრი თამაშები“, გ. გორინის „შემწვარი ხვის გაფრენა“, გ. დანაიოვის „უკანასკნელი სიტყვა თქვენ გეკუთვნით“, ფ. დიურენმატის „ფიზიკოსები“, ა. კოტეტიშვილის „სამოთხის ვაშლები“, ვ. იაქამვილის „ჰორიზონტს იქით“, ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“, მ. როზოვსკისა და ი. რიაშენცევის „სამი მუშკეტერი“, ვ. შუქშინის „თვალსაზრისი“, ი. ერკვნის „კაპა-თაგვობანა“, ვ. იურანდიტის „მეცხრე წმინდანი“, ა. ოსეცკას „ბლის გემო“.

გასტროლები, რომელიც ლიტველი მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევს, 27 აგვისტომდე გასტანს.

ბ. გამრეკელი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ავარია მოხდა, მიზეზი?

□

ტრაქტორი გადაიჩეხა...

ტრაქტორი ადამიანთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაყვანი საშუალება რომ არ არის, ეს ბაზეშვმაც იცის, მაგრამ ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა ბორის მოსინიძემ, ტრაქტორის მიაბმელზე რვა კაცი დასვა და გზას ისე გადუყვა. ბ. ასპანიძემ დაიმართზე ერთ უზრუნველყო ტრაქტორის ოსაფრთხო მართვა და ხევში გადაეჩეხა. შემთხვევის ადგილზე ორი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი ექვსი მძიმედ დაშავდა.

ეს ტრაგედია არ მოხდებოდა, ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში დისციპლინა რომ არ მოიკოქლებდეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გოხალიშვილი, ინჟინერი და გარაჟის გამგე ი. კაკაჩაშვილი მეტ მოთხოვნელობას რომ იჩენდნენ.

ბ. ახალაძე.

მატჩი მსოფლიო ჩემპიონობაზე

მეცხრე კარტია

გუშინ ბაგიოში გაიმართა მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის მეცხრე პარტია მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვსა და პრეტენდენტ ვ. კორჩნოის შორის. თეორებით თამაშობდა პრეტენდენტი. პარტია გადაიდო 41-ე ხვლაზე და მიხი დამთავრება მოუწყობა დღეს.

ფეხბურთი

მეოცე ტური

დღეს „ტორპედოს“ და „არარატის“ მატჩით იწყება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტური.

ხვალ გაიმართება ამ ტურის ექვსი მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან: ცსკა-„დინამო“ (მოსკოვი), „დნეპრი“-„დინამო“ (კიევი), „ჩერნომორეცი“ - „პახტაკორი“, „მახტაორი“-„სპარტაკი“, „ზენიტი“-„ნეფტჩი“, „დინამო“ (თბილისი)-„ალარატი“. პირველ წრეში თბილისელებმა „ალარატთან“ შეხვედრა სტუმრად გამართეს და ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს.

სამშაბათს მეოცე ტურის ბოლო მატჩია: „ლოკომოტივი“-„ზარია“.

წყალხტომა

თბილისში იასპარეზებენ

თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება წყალხტომაში. ამ შეჯიბრებამ განსაზღვრა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობა, რომელიც ამჯერად მონაწილეობას მიიღებს ასეთსავე საკავშირო ტურნირში (თბილისი, 17-22 აგვისტო).

ქალთა შორის სამშეტრიანი კოშკურიდან ხტომაში გაიმარჯვა თბილისელმა მოსწავლემ 14 წლის ლალი გონგაძემ, 10-მეტრიან კოშკურიდან ხტომაში — თბილისის უნივერსიტეტის მეორეკურსელმა მზია ნოზაძემ. ვაჟთა შორის ორივე სახეობაში პირველობა მოიპოვა 14 წლის თბილისელმა მოსწავლემ იოსებ ებრალიძემ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გავიდა აფხაზეთის ნაკრები, მესამეზე — ქუთაისისა.

მოკლედ —

ჩოგბურთი. ქალაქ ბრაშოვში გრძელდება ევროპის მეათე ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა წყვილების ასპარეზობის მეოთხედფინალში გავიდნენ ა. მეტრეველი-თ. კაკულია და ბორისოვი-ამერიკელი. საბჭოთა ჩოგბურთელთაგან შერეულ წყვილებში ჯერჯერობით დაუმარცხებლად ასპარეზობენ შევჩენკო-ბორისოვი, ჩმირიოვა-მეტრეველი და კროშინა-კაკულია.

ძალეოსნობა. ქალაქ ბრეშიაში (იტალია) გამართულ შეჯიბრებაზე სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის იტალიელმა სარა სიმონინმ დაძლია 201 სანტიმეტრი. მან 1 სანტიმეტრით გაუმჯობესა ოლიმპიური ჩემპიონის როზე-მარი აკერმანის (გდრ) მსოფლიო მიღწევა.

ფეხბურთი. ბათუმში დამთავრდა „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა ზონალური მეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის, ბრესტის, სამარყანდის, სოხუმის, ზუგდიდისა და ბათუმის გუნდებმა. ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავეს ბათუმელებმა და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

თანამედროვე ხუთჭიდი. მოსკოვში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირადი გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა ბორის მოსოლოვმა — 5245 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ლასლო ხორვატი (უნგრეთი) — 5181, მესამეზე — ვლადიმერ შმელოვი (მოსკოვის ოლქი) — 5138. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო უნგრეთის ნაკრები —15160. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რსფსრ-ს 1 გუნდი (15096) და მოსკოვის 1 კოლექტივი (14710).



გურამ ფანჯიკიძე

ლიდებულად იყო მოწყობილი „რივერ პლეიტის“ შესანიშნავი სტადიონი. პრესლოჟა, თუ არ ვცდები, შვიდი ათასი კაცისთვის იყო განკუთვნილი, ყველას ჩვენ-ჩვენი სავარძელი და პატარა მაგიდა გვქონდა ისე ოსტატურად განთავსებული, რომ ხელი არ შეგეშლოდა მატჩის ცქერაში. იქვე იყო მოწყობილი სპეციალური ოთახები, სადაც ორი ათასზე მეტი სპეციალისტი მანქანა იდგა ესპანურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და პორტუგალიურ ენებზე. რამდენიმე ათეული ტელეფონი მზად იყო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან უმალვე დასაკავშირებლად. საგანგებოდ მოწყობილ რამდენიმე ათეულ ფოტოლაბორატორიაში შეგეძლო გაგემეცადავნებინა ფოტოფირები და იქვე დაგებეჭდა სურათები. ასევე დიდებულად იყო მოწყობილი პრესცენტრიც, სადაც ყოველგვარი პირობა გექონდა შექმნილი მუშაობისა და დასვენებისათვის.

მარტო არგენტინის მთავრობა როდი ცდილობდა ხელი მოეთბო ამ ჩემპიონატით. ერთგვარი ჭიდილი იყო გამართული ფირმებს შორის, რათა ეს ასპარეზობა თავიანთი საქონლის სარეკლამო ტრიბუნად გადაექციათ. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ბრძოლა „კოკა კოლას“ ფირმამ მოიგო. სტადიონზე გამოფენილი 28 რეკლამიდან 8 „კოკა კოლას“ ეკუთვნოდა. „კოკა კოლა“ შეფობდა პრესცენტრსაც. მან მრავალი საჩუქარი გაიღო ჟურნალისტებისათვის. მათი რიცხვი კი მთელი ჩემპიონატის მანძილზე ორ ათეულ ათასს შეადგენდა. როცა სტადიონზე პრესლოჟაში შედიოდით, „კოკა კოლას“ საფირმო ტანსაცმელში გამოწყობილი ულამაზესი ქალიშვილები სამასსთვრო სამკერდე ნიშნებს გვაბნევდნენ გულზეტაიმსა და ტაიმს შუა, შესვენების დროს, მინდორზე გამოდიოდნენ „კოკა კოლას“ საფირმო ნახატებით და წარწერებით დამშვენებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ჰატარა ფეხბურთელები. ისინი ბურთით ჟონგლიორობის საოცარი ტექნიკით ხიბლავდნენ მაყურებლებს. ძნელია აღწერო ის ურთულესი, თითქმის წარმოუდგენელი ტრიუკები, რომლებიც მაყურებელთა მქუხარე ტაშს იმსახურებდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე უმნიშვნელობას ფავორიტებად მიაჩნდა არგენტინა, ბრაზილია, დასავლეთ გერმანია და ჰოლანდია, იყო ლაპარაკი იტალიაზეც. პირველივე ტურების შემდეგ ხალხი გააოცეს გერმანელთა, ბრაზილიელთა და ჰოლანდიელთა დუნე თამაშმა. ისინი უმალვე ჩამოწერეს ფავორიტთა სიებიდან. ბრაზილიელებიდან, ვინ მიგებიდან, ხოლო მათი ადგილები იტალიამ და პერუმ დაიკავეს.

— როგორ აფასებთ ბრაზილიელთა და არგენტინელთა მასსებს? — ვკითხე პრესლოჟაში ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელ გერსონს.

— არგენტინა და ბრაზილია ვერაფითარ წარმატებას ვერ მიაღწევენ, რადგან მათ ბოლის გატანის უნარი არ შესწევთ, — მიპასუხა გერსონმა. მაგრამ მალე, გერსონის წინასწარმეტყველების საწინააღმეგოდ, ორთავე გუნდმა დაამტკიცა, რომ შესწევთ ბოლის გატანის უნარი.

ბევრს ეგონა, გერმანელთა უღიმღამო თამაშის მიღმა რაღაც ღრმად ჩაფიქრებული მანევრი იმალებოდა, დადგება წუთი და ისინი მთელ თავის შესაძლებლობებს გამოამეღავნებენო. მაგრამ ასეთი წუთი არ დადგა. ავსტრიელებმა დაამტკიცეს, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვეღარ იჩემპიონებდა.

თანდათან უკლო თამაშს პერუს ნაკრებმა, ხოლო მისი ლიდერი კუბილასი თითქმის. რიგითი ფეხბურთელის დონემდე დავიდა. არგენტინელებმა კი კალდერონის გუნდი თვინიერ ძოხასაკით გამოწვეულს.

იყო შემთხვევები, როცა განწყობილება ტაიმსა და ტაიმს შუაც კი იცვლებოდა. იტალია-ჰოლანდიის მატჩი იტალიელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. შესვენებაზე ბობი ჩარლტონს ვკითხე, ვინ მიაჩნიათ ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად-მეთქი.

— მე ძალზე გამიცრუეს იმედები ჰოლანდიელებმა, — თქვა მან, — ახლა მჯერა, რომ ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მაინც იტალიელებს აქვთ.

მაგრამ აი, დაიწყო მეორე ტაიმი და ყველაფერი პირიქით შეტრიალდა.

მატჩის შემდეგ ბობი ჩარლტონმა მხრები აიჩეჩა და ამით გაზოხატა თავისი სათქმელი.

არგენტინა, არგენტინა!

დიდი რეკლამა ჰქონდა ბრაზილიურ ყავასაც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ დასავლეთ გერმანიის ფირმები. ყველგან ბატონობდა „ადიდასის“ სპორტული ტანსაცმელი. „მერსედესის“ ფირმამ 160 ავტობუსი უფასოდ გამოგზავნა ჩემპიონატის მოსამსახურებლად. ლათინური ამერიკის ავტობაზარზე ამაზე დიდ რეკლამას „მერსედესის“ ტიპის ავტობუსებს ვერაფერი გაუკეთებდა.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის გულისებშიც და ფარეო არენაზეც დიდი ეკონომიური ვნებანი ბობოქრობდა.

ბუენოს-აირესში არის ერთი ქუჩა — ლავალეჟი. იგი დიდი სავაჭრო ქუჩის, კორინტიესის პარალელურად მდებარეობს და ზნირად მას კინოთეატრების ქუჩასაც უწოდებენ. ბაირეში (ბუენოს-აირესს შეიმოკლებთ ბაირესს ეძახიან) ეს ქუჩა უფრო სხვა რამით არის ცნობილი. აქ თავს იყრიან ფეხბურთის ფანატიკოსი გულშემატკივრები. დაინტერესებული კაცი, როგორც ბაირესში ვკითხრეს, თუ ყურს დაუგდებს მათ ტემპერამენტიან კამათს, პელეს, გარინჩას, ონეგასა და ფეხბურთის სხვა კორიფეების სახელებთან ერთად გაიგონებს მესხისა და მეტრეველის გვარებს. მათ თამაშს არგენტინელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. უფრო მეტიც. პრესლოჟაში გავიცანი არგენტინის რადიოს სპორტული მიმოხილველი უმბერტო ბისი. ისინისა და მეტრეველს არგენტინაში სუპერვარსკვლავებად მიიჩნევენო, ხოლო პირადად მე ამ სტადიონზე ჯერ მიხეილ მესხის თამაშის მსგავსი არაფერი მინახავსო, — მითხრა მან.

პრესლოჟაში საშუალება გვქონდა გვესაუბრა ფეხბურთის გამოჩენილ ვარსკვლავებთან. ისინი ამჯერად ახალ ამპლუაში — ტელეკომენტატორებად მოგვეგებნენ. აქ იყვნენ დი სტეფანო, ბობი და ჯეკი ჩარლტონები, ნეტცერი, რივა, ფონტენი, კუბილა, ჭერსონი...

ერთხელ დი სტეფანოს ვთხოვე, მასთან ერთად სურათი გადამეღო. სიამოვნებით დამთანხმდა და თან მკითხა, რა ეროვნების ბრძანდებითო. რიცა ვუთხარი ქართველი ვარ-მეთქი, გაიღიმა და თქვა: — მე ვიცოდ ქართველებს. მესხი, მეტრეველი... აქ დი სტეფანო დაფიქრდა...

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე ძვირი იყო დღემდე მოწყობილ ჩემპიონატებს შორის. ბილეთები ღირდა 30-დან 70 დოლარამდე. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ინგლისსა და მექსიკაში ბილეთის ღირებულება შვიდ დოლარს არ ასცილებია. არგენტინის ჩემპიონატმა თავისებური რეკორდი დაამყარა შავ ბაზარზეც: ბილეთის ღირებულებამ 1000 დოლარს მიაღწია. განსაკუთრებით ძვირი ღირდა ბილეთები როსარიოში არგენტინა-ბრაზილიის მატჩზე. ფანატიკოსა გულშემატკივრები ავტომობილებს ცვლიდნენ ბილეთებში.

ეს გასაგებიც იყო, არგენტინელებს ყველაზე საშიშ მეტოქედ მაინც ბრაზილიელები მიაჩნდათ.

ლათინური ამერიკის ამ ორ დიდ საფეხბურთო სახელმწიფოს შორის არსებული „შინაური შუღლი“ აშკარად იგრძნობოდა როგორც სტადიონის ტრიბუნებზე, ისე პრესაში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 182.

ბრაზილიელები შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებდნენ თამაშს, მაგრამ ისინი მთელი ძალით მაინც ხთამაშნენ, მაშინ „ბახურნენ“, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.

ყველაზე მეტი გულშემატკივარი ბრაზილიელებს ჩამოჰყვა არგენტინაში. თუ არ ვცდები, 25 ათასი კაცი. მათი რიცხვი თავიდანვე შემცირდა, ბრაზილიელთა უღიმღამო სტარტმა ბევრი გულშემატკივარი გააბრუნა სამშობლოში. ბუენოს-აირესში კი... მხოლოდ ასამდე ბრაზილიელი თუ იჯდა სტადიონის ტრიბუნებზე. „მესამე ადგილი შეიძლება დიდი წარმატებაა სხვისთვის, მაგრამ არაფერს არ ნიშნავს ჩვენთვის“, — გაბაცხადა იტალიელებთან გამარჯვების შემდეგ კუტტინიმ, რომელიც იმავე დღეს, იმავე საათს გამოეთხოვა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის პოსტს.

დიახ, მოულოდნელობებით დაიწყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი. ტურიდან ტურამდე იცვლებოდა პროგნოზები, ვარაუდები, შესაძლებლობანი. მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იო.

გერმანელთა მწვრთნელმა ჰელმუტ შონმაც დატოვა თავისი პოსტი. — ბურთით თამაში მაინც ბურთით თამაშია და იგი ომის წაგებას არ ნიშნავს, — განუცხადა მან პრესის მუშაკებს, — მე მისაყვედურებენ, კარგი შემადგენლობა არ გამოყვადა და ფეხბურთელთა შეცვლაში შეცდომებს უშვებდიო. მოგეხსენებათ, გზა მაშინ გამოჩნდება ხოლმე, რომელიც ურმი გადაბრუნდება. საყვედურების გამოთქმა ადვილია. მე ჩემი პრინციპები მაქვს. ჩემმა პრინციპებმა კი გერმანიის ნაკრებს დიდი გამარჯვებები მოუტანა... ჩემი საფეხბურთო კარიერა დამთავრდა, აწი ჩემს მეუღლესთან ერთად ვიცი ოჯრაში და ვიმოგზაურებ მთელს მსოფლიოში.

ჩემპიონატი კარგა ხანია დამთავრდა. არგენტინის ჩემპიონატმა ბევრს წინა ჩემპიონატზე ნატკენი გული დაუარა, ბევრი კი პირიქით, გაადიზიანა და გაანაწყენა.

ამ წერილში არ ვაპირებ დაწვრილებით ან თუნდაც ფრაგმენტულად ვილაპარაკო ჩემპიონატის მსვლელობაზე. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატმა წარსული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ წამოჭრილ ბევრ კითხვას გასცა პასუხი. მაგრამ თავის მხრივაც ბევრი საკითხი წამოჭრა.

ფეხბურთში საკამათოს და თავსატეხს რა გამოლევს. ფეხბურთს უყვარს პარადოქსები და იმიტომ არის ასე მიმზიდველი სპორტის ეს სახეობა.

ფეხბურთში ისე მკაფიოდ და გარკვევით ვერ დადგინდება ჭეშმარიტება, როგორც, ვთქვათ, სიმძიმეების აწევაში, სადაც ყველაფერს კილოგრამები განსაზღვრავს.

ფეხბურთი არც სიმაღლეზე ხტომა, რომ სანტიმეტრი მოვიმარჯვოთ ხელში.

ოცდახუთდღიანი ბრძოლის შემდეგ უძლიერესი ოთხეული ასე დალაგდა: 1. არგენტინა, 2. ჰოლანდია, 3. ბრაზილია, 4. იტალია.

ხომ შეიძლება სხვანაირადაც ყოფილიყო?

ბევრს არგენტინა ღირსეულ მსოფლიო ჩემპიონად მიაჩნია, თვლიან, რომ მან დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

ბევრი ჰოლანდიას მიიჩნევს უფრო ძლიერ გუნდად.

ბევრი ბრაზილიელთა უპირატესობას აღიარებს.

ალბათ, არანაკლები სიმპათიებით სარგებლობენ იტალიელებიც.

ვინ არიან მართლები?

აქ არ გამოგვადგება არც კილოგრამები, არც წამომზომი და არც სანტიმეტრი, რომ უცილო ჭეშმარიტება დავადგინოთ.

ფეხბურთი ხელოვნებასთან ნაზიარები სპორტია. ხოლო იქ, სადაც ხელოვნებაა, შეფასების ერთგანზომილებიანი სისტემები და მეთოდები არ გამოგვადგება.

იმ მრავალ კითხვათა შორის, რომლებიც ამ ჩემპიონატმა დასვა, სამი ძალზე რელიეფურად გამოიკვეთა.

პირველი — არის თუ არა არგენტინა ღირსეული ჩემპიონი?

მეორე — ხომ არ იგრძნობოდა ჩემპიონაატში ვარსკვლავების მეტისმეტი სიმეცრე?

მესამე — მოგვცა კი რაიმე ტექნიკური ან ტაქტიკური სასწლე არგენტინის ჩემპიონატმა?

დავიწყოთ პირველი შეკითხვით. ჩემი აზრით, თუ დავივიწყებთ ჩვენს სიმპათიებს და საკითხს ობიექტურად მივუდგებით, არგენტინა მართლაც ღირსეული ჩემპიონია და არ შეიძლება მისი გამარჯვება არ გაუხარდეს ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულს.

პირადად მე რამდენიმე ჩემპიონატის დამსწრე ვარ და უნდა გითხრათ, ასეთი დაძაბული, ასეთი ლამაზი, ვატაკური, ინდივიდუალური ელვარებით და კომბინაციური მრავალფეროვნებით აღსავსე ფინალი ჯერ არ მინახავს.

დიდებული იყო ინგლისის ჩემპიონატის ფინალი, როცა ერთმანეთს წინაშე წარდგნენ ინგლისი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მაგრამ ამ ორთაბრძოლას აკლდა ის ტემპერამენტი, ტექნიკური ელვარება და არტისტიზმი, რაც „რივერ პლეიტის“ მინდორზე ვიხილეთ.

დიდებული იყო მეხიკოს ფინალი, მაგრამ იქ პირველი წუთებიდანვე ყველაფერი ნათელი გახლდათ — იტალია ვერ დაჯაბნიდა ბრაზილიას.

დიდებული იყო წინა ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის გუნდების თამაში, ჭადრაკის ფრთხილ პარტიას უფრო ჰგავდა, სადაც ორთავე მხარე მოწინააღმდეგის შეცდომას უცდიდა. მთელი თამაშის მანძილზე მინდორზე არ გაჩენილა ქარაშხლის მაუწყებელი კერები, როგორც ეს იყო ბუენოს-აირესის ფინალურ ორთაბრძოლაში, განსაკუთრებით დამატებით დროში, როცა „რივერ პლეიტის“ მწვანე მინდორზე ნამდვილი გრიგალი მძვინვარებდა. სიტუაციები ელვისებურად იცვლებოდა, ფეხბურთელებს, განსაკუთრებით არგენტინელებს, დაღლა კი არა, საოცარი აღმაფრენა ეტყობოდათ. სწორედ ამ გრიგალში მთელი შემართებით იჩინა თავი არგენტინელთა ლიდერის ბარიო კერმესის ელვარე ნიჭმა. მისმა თამაშმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ არ არსებობს ფეხბურთი ვარსკვლავების, პიროვნებების გარეშე. მხოლოდ ისინი აძლევენ ფეხბურთს ის სიმაღლეებსა და ის სილამაზეს, რითაც სპორტის ეს უმშვენიერესი სახეობა ხელოვნების თვისებებს იძენს.

არგენტინა ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო სახელმწიფოა მსოფლიოში. მან არა ერთი და ორი სუპერვარსკვლავი მისცა მსოფლიოს. ფეიერონ, მარტო და სტეფანოს, სივორისა და ანჯელილოს სახელების გახსენებაც კმარა. არგენტინელი ფეხბურთელებით იყო სავსე იტალიის, ესპანეთის, საერთოდ, ევროპის ჩემპიონების კლუბები.

ამ დროს არგენტინამ ვერც ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოამზერა შეჯერება ევროპის კლუბებში გაბნეული თანამემამულეები. ეერც ერთხელ ვერ გამოიყენა თავისი გუნდი ისე ორგანიზებულად, რომ სერიოზული პრეტენდენტი ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონობისა.

ახლა კი, როცა მსოფლიო საფეხბურთო ფორუმის მასპინძლები თვითონ იყვნენ, მტკიცედ გადაწყვეტეს გამოეყენებინათ „საკუთარი კეთილბის უპირატესობა“ და მთელი სერიოზულობით შეუდგნენ ჩემპიონობისათვის მზადებას.

ბევრმა, როცა არგენტინის ნაკრები ჩაიბარა, ძალზე რისკიანი გზა აირჩია. მან არც ერთი ფეხბურთელი არ აიყვანა არგენტინის უპირველეს კლუბ „ბოკა ხუნიორსიდან“. იგი 1974 წლიდან ჩაუდგა სათავეში არგენტინის ნაკრებს. მისი დევიზი იყო — შეინარჩუნოთ გუნდის შემადგენლობის სტაბილურობაო, მაგრამ უკანასკნელ დღეებში იგი ცუდ დღეში ჩავარდა. გუნდს გამოაკლდნენ კაპიტანი კარასკოსა და მეკარე გატი. ხოლო ევროპიდან ვერ ჩამოვიდნენ ფოლფი და პიაცა. მენოტი მაინც არ დაიბნა და თავის პრინციპს — მხოლოდ შეტევა — არ უღალატა.

(დასასრული იქნება).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ტელევიზია

6 აგვისტო

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.45 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ამიერკავკასიური“, 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.20 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, 12.55 — ბავშვებისათვის — „მხიარული სასტუმრო“ (ფერადი, განმეორებით), 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „შორეული ახლობელი“, „მინას ბეტისიანი“ (ფერადი), 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — კინონარკვევი, 15.15 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.30 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 18.00 — „დღეს რკინიგზელის საკაბირო დღეა“ (მოსკოვიდან), 18.15 — „კინოფიშა“, 18.45 — „მღერის ლიზი მინელი“ — სასტრადო კონცერტი, 19.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.30 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.00 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დახურვა ჰავანაში. 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დახურვა ჰავანაში (გაგრძელება).

მეორე პროგრამით

18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ჩემი ბავშვობიდან“, 19.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.30 — კონცერტი, 20.00 — დო